

ძირითადი ლანდშაფტები

საქართველოს ლანდშაფტები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართველი თუ უცხოელი გეოგრაფების მიერ. ისინი სხვადასხვა ასპექტში და კვლევის მასშტაბშია განხილული [ელიზბარაშვილი გ., ელიზბარაშვილი ნ., მალლაკელიძე, ჯამასპაშვილი, Беручашვილი, 1995; Николаишვილი, 2002; Тедиашვილი, 1984; Элизбарашვილი Г., 1982 და სხვ.]. ამ ნაშრომებში განხილულია: (1) ლანდშაფტის ცალკეული ერთეულები (მაგალითად, საშუალო და ზედა მთის ტყის ლანდშაფტები); (2) ერთი რომელიმე ლანდშაფტურ-გეოფიზიკური/ლანდშაფტურ-ეთოლოგიური მაჩვენებელი (ფიტომასები, ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურა და სეზონური დინამიკა) ზოგადად საქართველოს ფონზე. საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის შესწავლილია კავკასიის ბტკ-ების ვერტიკალური სტრუქტურის დინამიკისა და მიწისქვეშა ნაწილის დღე-ღამური მდგომარეობების საკითხები [Элизбарашვილი Г., 1987; Маглаკელიძე, 1982]. თუმცა ცალკე სამცხე-ჯავახეთი, ამ თვალსაზრისით, ჯერ არავის უკვლევია.

კვლევამ დაგვანახა, რომ ისევე როგორც მთელი საქართველოში, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო კარგადაა შესწავლილი ვაკე ტერიტორიები, ვიდრე მთის ლანდშაფტები. თუმცა ლანდშაფტური თვალსაზრისით, პირიქით. ამის მიზეზია ფიზიკურ-გეოგრაფიული შესწავლისათვის საჭირო სტაციონარების (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური) უმეტესობის მდებარეობა ვაკეებზე, ხოლო ის სავსე ლანდშაფტური კვლევების ჩატარება უმთავრესად მთის ლანდშაფტებში [ნიკო-ლაიშვილი, 2009]. ამასთან ბტკ-ების ლანდშაფტურ-გეოფიზიკური კვლევის მე-თოდისა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ტარდებოდა კვლევები 1980-იანი წლებიდან, უფრო მეტად მთიანი ტერიტორიების შესწავლაზეა ორიენტირებული და აპრობირებული. შედეგად, ტყის ლანდშაფტებზე გაცილებით მეტი მონაცემებია დაგროვილი ლანდშაფტური თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ორგანიზებული ერთადერთი ლანდშაფტური ექსპედიციების (ხელ-ი: პროფ. ნ. ბერუჩაშვილი) 1979-2005 წლებში ჩატარებული ექსპერიმენტული ნაკვეთების მხოლოდ 5 % პროცენტი მოდის სამცხე-ჯავახეთზე. ამ ექსპედიციებში უმთავრესი აქცენტი კეთდებოდა ტყის ლანდშაფტებზე და ნაკლებად არიდულ და სემიარიდულზე, ე.ი. იმ ლანდშაფტებზე, რომლებიც მაღალი რისკით ხასიათდებიან კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე. ექსპერიმენტული ნაკვეთების უმეტესობა (87 %) მოდის ტყის ლანდშაფტებზე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს რეგიონებს შორის, ლანდშაფტური თვალსაზრისით, სამცხე-ჯავახეთი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი რეგიონია. მას მხოლოდ გურია ჩამორჩება (ნახ. 4.1). ლანდშაფტური თვალსაზრისით, განსაკუთრებით ახალციხის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი.

სამცხე-ჯავახეთის მთის ლანდშაფტებიც მეტად არათანაბრადაა შესწავლილი. უფრო მეტად შესწავლილია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობი, ბორჯომის ხეობისა და ოთის ხეობის (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის), უმთავრესად ტყის ლანდშაფტები. ყველაზე ნაკლებად შესწავლილი აღმოჩნდა მაღალი მთის სუბალპურ და ალპურ მდელოები, აგრეთვე ჯავახეთის ზეგნისა სტეპის ლანდშაფტები.

მნიშვნელოვანი ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ კვლევები ჩატარდა 2005-2008 წლებში ტყეთსარგებლობის ზონირებისა და დაგეგმარებისათვის (ჭ). ამ კვლევების უმთავრესი ღირებულება ისაა, რომ შემუშავდა ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც აპრობირებული იყო საქართველოს სხვადასხვა ტყიან ტერიტორიებზე. თუმცა ეს კვლევები მოიცავდა მთელ საქართველოს, ან სხვა რეგიონს/რაიონს. კვლევა არ იყო ძირითადი ლანდშაფტები (ნომენკლატურა)

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია საკმაოდ ნაირგვაროვანი ლანდშაფტებითაა წარმოდგენილი. აქ წარმოდგენილია ლანდშაფტების [Беручашвили, 1979]:

5 ტიპი (H, II, P, T, Y);

9 (H5, H6, II1, P1, T1, T2, Y1, Y2, Y3) ქვეტიპი;

12 გვარი (83, 88, 102, 112, 119, 127, 129, 135, 138, 139, 148., 151).

H - ტიპი. მთის ზომიერად თბილი ჰუმიდური

სემიჰუმიდურისაკენ გარდამავალი ქვედა მთის ტყის (H5- ქვეტიპი)

83 – ქვედა მთის ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით, იშიათად შიბლიაკით.

საშუალო მთის ტყის (H6- ქვეტიპი)

88 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარი ტყეებით და ტყისშემდგომი მდელოებითა და მდელო-ბუჩქნარებით.

II – ტიპი. მთის ზომიერი სემიჰუმიდური

საშუალო მთის შიბლიაკის, არიდული მეჩხერი ტყის, ფრიგანის, მდელო-სტეპის (II1– ქვეტიპი)

102 - საშუალო მთის ვულკანური ლანდშაფტი შიბლიაკით, ფრიგანით, მდელო-სტეპებითა და არიდული მეჩხერი ტყეებით.

P – ტიპი. მთის ზომიერი სემიარიდული

ზომიერად თბილისაკენ გარდამავალი მთის ქვაბულების სტეპის, მდელო-სტეპის, ფრიგანისა და შიბლიაკის (P1– ქვეტიპი)

112 - ვრცელდება სამხრეთ საქართველოში – ახალციხის ქვაბულის ფარგლებში, ზ.დ. 900-1500 მ სიმაღლით დიაპაზონში. გაცილებით დიდ

ფართობზეა გადაჭიმულია სომხეთის ზეგნის ფარგლებში. მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი პირვანდელი ბუნებრივი სახე.

T - ტიპი. მთის ზომიერად ცივი

საშუალო მთის მუქწიწვიანი ტყის (T1 - ქვეტიპი)

125 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვინებითა და მუქწიწვიანებით (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი) მარადმწვანე ქვეტყით.

127 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვინი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით.

ზედა მთის ტყის ფიჭვნარი და არყნარი (T2- ქვეტიპი)

129 - ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციალური ლანდშაფტი არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით.

Y - ტიპი. მაღალი მთის მდელოს

მაღალი მთის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს (Y1 - ქვეტიპი)

135 - მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი მაღალბალახოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (წიფლისა და არყის ხის).

138 - მაღალი მთის დენუდაციური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

139 - მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებისა და მდელო-სტეპის.

მაღალი მთის ალპური ბუჩქნარ-მდელოს (Y2-ქვეტიპი)

148 - მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი ალპური მდელოებით

151 - მაღალი მთის სუბნივალური ვულკანური ლანდშაფტი.

მაღალი მთის სუბნივალური (Y3-ქვეტიპი)

151 - მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტიკონცენტრირებული საკუთრივ სამცხე-ჯავა-ხეთის კვლევაზე.